ცოტნე ავსაჯანიშვილი - ქართლის ხეობებს ასდის ნისლები

მანუჩარ ტაბლიაშვილი:

სოფელს ჩამოვუარე. მა სუ ტყე-ტყე ხო არ ვივლი კაცო, ხალხი იტყვის ეშინიაო და სირცხვილია რო გეშინია. თან მიყვარს სოფელზე გავლა. სიარულისას ფიქრი სულ სხვა ფიქრია. კრესლოში ჩამხობილი კაცი ეგრე ვერა ფიქრობსო, ასე იტყოდა ცნობილი ფილოსოფოსი პავლე ძამუკაშვილი და მე არცა მაქ უფლება რო არ დავეთანხმო და რომცა მქონდეს, მაინც ვეთანხმები იმიტო, რო ეგრეა. ფიქრის გარდა მგონი არც არაფერი დამრჩენია დაცარიელებულ, დენთით გაცხელებულ ქართლის ორღობეებში. ჩემი სიმშვიდე სიკვდილმისჯილის სიმშვიდესა გავს, რო იცის, ვერაფერს ვერ შევცვლიო და აღარც ნერვებს იწამლავს ტყუილი შიშებით და იმედებით. კიდე იმ კაცის სიმშვიდესა, ძალიან ბევრს რო გაირბენს, ყველა კუნთი ასტკივდება და სულ ცალ ფეხზე ჰკიდია ჭიანჭველებით სავსე ხეს თუ მიეყუდება, ოღონდ ნატანჯი და გამოფიტული სხეული მოასვენოს. ისე კი, თითქოს სუ არ იცის სოფელმა, ომი როა. ჩამჯდარია აგვისტოს წითელ-ყვითელ ფერებში და თავს გასათხოვარი ლამაზივით იწონებს. ვზივარ ჩემთვის ლიახვთანა და ვფიქრობ, განა რა სამოთხე დახვდა პაპაჩემს ცაში ისეთი, ამას რო ჯობია. არადა, გელა მამაო სუ მაგას ამბობს, სამოთხე ესეთი და ესეთიაო. მა ეს თუ სამოთხე არ არი, რას გვეჯაჯგურებიან ის დედააძაღლებულები, მთები დაილია იქით თუ მდინარეები? და თუ სამოთხეა, მაშინ რაღაზე ვხოცავთ ერთმანეთს? აკი სამოთხეში მგელი და კრავი ბალახზე ქეიფობენ და ეგ ბალახიც არააქთ გასაყოფი იმდენიაო?!

ცოლ-შვილი ადრე გავხიზნე. სროლა რო აგვიტეხეს იმ დღეებში. მაგათ ადრევე ატეხეს სროლა, გაეროს დამკვირვებლებმაც კარგად იციან ეგა. ეს ფაქტი კარგად უნდა ურტყა ცხვირში ყველას, მერე რო არ მოგვიგონონ რამეები. ივლისი არ იყო მორჩენილი, ეგენი მთელ ლიახვის ხეობას გაუბიცებში რო გვაბანავებდნენ. ეხლა სოფელში ათი კაციღა ვიქნებით. მე და ბებრები. მე იმიტო, რო სოფლის რწმუნებული ვარ. მოხუცები კიდე ვერ მიდიან და განა იმიტო ვერ მიდიან, რო ფეხები არ ემორჩილებათ?! იმიტო ვერ მიდიან, რო აქედან თუ წავლენ, ეგ არი მაგათთვის სიკვდილი და ჩათვალე, რო აქ დარჩენით სიცოცხლეს იგრძელებენ. სანამ მოვა ოსი და რუსი, მანამდე ვიცოცხლებთ, მარა ეხლა რო გავიდეთ სოფლიდან, ეგრევე მოვკვდებითო, რომელაშვილი ზაურა იძახდა წუხელ, აკაციებთან რო ვბირჟაობდით. ისე კი, მოვლენ კიარა, მოვიდნენ და ეგ არი. დღეს თუ არა ხვალე, ეგენი აქ მოატალახებენ. უკვე მესმის მაგათი ქაჯური ყიჟინა. შეიძლება არც მესმის, მაგრამ ფსიქოლოგიურიაო, ჩემმა გოგომ მითხრა, რაღაცას რო

ელოდები და თან არ გინდა მოხდეს, წინდაწინ გელანდებაო. ჩემ გოგოს ჯავახიშვილში უნდა მოწყობა, ფსიქოლოგიურზე. შემოვლენ, მა? დამშლელი აღარა ჰყავთ და. როდემდე გაქაჩავდა ჩვენი ჯარი? რაც მაგათ ტანკები ყავთ, იმდენი ტყვია გვაქ ჩვენა. ხოდა, ჩვენი ბიჭები აღარც არიან აქა. მეოთხე ბრიგადის ოცი ბიჭი იყო ჩვენ სოფელში. ათში არტილერია რო გადაგვატარეს და მოსახლეობა პადვლებში ჩავხიზნე, იმათ ფეხი არ მოიცვალეს, ჩვენაო აქ იმიტო არ მოვსულვართ რო იმათ დავემალოთო. ნეტა თვალები დამთხროდა და ის არ მენახა, პადვლიდან ამოსულმა რაცა ვნახე. ან ნეტა ფეხი მამტეხოდა და იქ არ ჩავთრეულიყავ, მეც იმ ბიჭებს მივწოლოდი გვერძე და სინდის შერჩენილი მოვმკვდარიყავი. ეს ცხრამეტი-ოცი წლის ბალღები, სუ ერთმანეთზე მიეწვინა იმ სულძაღლების არტილერიას. ესენი კიდე, სუ ძმაკაცები იყვნენ ერთმანეთისა და ეტყობა ჩაეხვივნენ ერთმანეთს გაიგე? სულ ერთად, გვერდიგვერდ იწვნენ ბალღები, მაგათ უცოდველ სულებს და ვეფხვის გულებს რო შემოვევლე. სოფელი ალყაშია. ვერ გავიყვანდით ამ ბიჭებს ვერსად, მაგრამ იმ ამოსაწყვეტებს ხო არ დავაგლეჯინებდით? ჩვენი ხელით დავმარხეთ ჩემ პადვალში. სხვაგან საშიში იყო, იპოვიდნენ და ამოთხრიდნენ. მაგათგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. ოქრო ბიჭები. გული გადმოსდიოდათ იგეთები. მე მეუბნებოდნენ, ძია გაგიყვანთ თორე რო გაიგონ რწმუნებული ხარ, არ გაცოცხლებენო. ზუსტად მაგიტო აღარ წავალ არსად. მაგათი საფლავები უპატრონოდ როგორ დავყარო?! ეგენი ცხრაში გამოჩნდნენ აქა. მანამდე, შვიდში და რვაში, სხვა ოცეული იდგა. ისინიც სულ ნარჩევი ბიჭები. ჯიში რო მაგათით უნდა გამრავლდეს, ისეთები. მე ისტორიის მასწავლებელი ვარ და დამისვეს და მომაყოლეს სულ ნაირ-ნაირი ბრძოლის ამბები. მხნეობას მოგვმატებსაო, გაიგე? ერთი თუში ბიჭი იყო ძაან ინტერესიანი. გაფაციცებული მისმენდა. ლამაზი გვარი ჰქონდა, ანწუხელიძე. ნეტა ეხლა სად არი? გააღწია?

თქვენა გგონიათ, მე ვიცი რა არი სამშობლო და მაგის სიყვარული? არც არავინ არ იცის. ვისაც ჰგონია რო ეგ იცის, მჭექარე ლექსებს გაჰკივის და თავს გვამეტებს, ეგ არი პირველი გამქცევი და გამყიდველი, იცოდე ეგა. მაგიტო მირჩევია, რო არც არაფერი ვიცოდე და ისე ვგრძნობდე, სახელი არ ვიცოდე რასა ვგრძნობ. საერთოდაც, ოსებსაც სჯერათ ზოგსა, რო ეს მაგათი მიწაა და უყვართ. ოსები კიარა, იტალიელები, ფრანგები და ზიმბაბველებიც ზუსტად ისე ლაპარაკობენ თავის სამშობლოზე, როგორც ჩვენა, ოღონდ თავ-თავიანთ ენაზე. ხოდა მაგის ძებნა არ უნდა დაიწყო. გულის აჩქარებას უნდა გაჰყვე და გული რო გიჩქარდება ესეიგი კარგია და მაგიტომ გინდება გმირობა. ცოლი რო გიყვარს, ხო არ იცი რატო და საიდან? შეგიყვარდა და მორჩა. ხოდა გული ხო გიჩქარდება? ცოლს რო ვინმემ აუგი უთხრას ხო გამოუდგები კეტით? ეგრეა სამშობლოც. ბალღებს ვუხსნიდი ხოლმე სკოლაში, რო ქართლი... საქართველო... აქედან მოდის ქართველიც და საქართველოც... არა სჭირდებათ ეგა. აქ რო იზრდებიან და ლიახვზე დაჭერილი თევზის გემო რო იციან, იმათ აღარ უნდათ შეგონება და გაკვეთილები. ვინც აქ დაიბადა და გული არ უჩქარდება, იმას ვერც დავით

აღმაშენებლის დაზუთხვით გადააქცევ გმირადა და ვერც სვიმონ პირველისა. ისე, ხუმრობა არ გეგონოთ და ვისაც უფრო კარგი სიმღერები აქ, იმისი სამშობლოც უფრო მართალია. მე რო შავლეგოს ვუსმენ ხოლმე, მაშინ თუ გინდა ათასი რუსი დამიყენე, მეტრით ვერ დამხევენ უკან.

* * *

შემოვიდნენ წითლები. ოღონდ მართლა წითლები. წითელი სახეებით და დიდი წითელი ცხვირებით. როგორ აწითლებს ეს არაყი კაცსა, გეგონება ენდრო იყოს. ბლოკპოსტები დააყენეს სოფლის ორივე შემოსასვლელთან. შიგნით ბოლომდე ვერა ბედავენ, ემანდ დანაღმული არ იყოსო. აქა-იქა კანტი-კუნტად დაიძურწებიან ტურებივითა. ძალიან ყროლი ხალხია. მარტო რუსები და ოსები არ არიან. ათასი ჯურის ბაევიკი შემორეკეს. სუ სიმღერ-სიმღერით დადიან ეგ სმენამოტყნულები. რუსები ავგანისტანის ომზე ხრიალებენ ბაიათებს, გეგონება ყიშლაკი მქონდეს აქა და მე კიდე მოჯახედი გულბედინ ჰიკმატეარი ვიყო. სხვები კიდე რაღაცა უჯიშობებს აკაკუნებენ. რაც ხალხია, ის სიმღერები აქვთ. გული შეგიღონდება რო მოუსმინო. ეჰ, მაჩაბლებო, თქვენ რა გითხარით, ქართლელი გლეხები არ გეყოფოდად ყმებადა?

სახლებში შედიან, არაყს და საჭმელს იპარავენ. ოქროს მანდ ვერა ნახავენ, სულ გავატანეთ ქალებს. მგონი სპეციალურად არ აჭმევენ საჭმელს, უფრო სასტიკები და ცხოველები რო იყვნენ. აბა ამხელა რუსის ჯარს საჭმელი გაუჭირდა? დარბიან ციმფია ბავშვებივით სახლიდან სახლში და ობიანი პური რო ობიანი პურია, იმასაც აკნატუნებენ. ისეთი კმაყოფილი სახეებით აკნატუნებენ, გეგონება ასატრინა იყოს. წუხელ რომელაშვილ ზაურას მიუვარდნენ. ამას რა ექნა, ოთხმოცი წლის კაცია. დაუსხა ღვინო და აცეცხლა მწნილი. იმათ კიდე მწნილი რა ჩემი ფეხებიაო და სუ ავტომატის კონდახები ურტყეს პაპისტოლა კაცსა. კიდე კაი არ მოკლეს, მარა დღეს თუ არა ხვალ, ყველას ამოგვწყვიტავენ ეს ჯიშსატყნავები. სიმწრით ლამის მიწა შევჭამო. პაპიროზს ვუკიდებ და ვაგდებ. არც ოთხმოცდათერთმეტში და არც მაგის მერე ცხვირი არ შემოვაყოფინეთ სოფელში და ეხლა აქ რო ჩეჩნური ტაშფანდურა აქვთ ლამის გული გამისკდეს. რომელაშვილ ზაურაზე რო გიყვებით, პირველ ომში ვეფხვივით ომობდა და კუდით ქვას ასროლინებდა მაგ ვირიშვილებსა. ეხლა დაიბრიყვეს ბებერი არა?!

* * *

მინდვრებში და ტყისპირში ვართ შეფარებულები. გული საგულესა მაქ, ქალები და გოგოები სულ რო გაყვანილი გვყავს. აქ რო ვინმე ჩვენებური გაებახებინათ, მერე გინდა

აჯანყდი და გინდა თავი მოიკალი, რაღა აზრი აქ რამესა? სოფელში ჩუმად, იშვიათად გავდივართ, სახლებს რო დავხედოთ ხოლმე. სახლებს რა... კედლები დატოვეს მაგ ჩემისებმა, მარა ეგეც საქმეა. გულში კი ვიცით, არავინ რო შეგვარჩენს მაგ სახლებს და ამ სოფელსა, მაგრამ გვიყვარს და რა ვუყოთ?! დედაჩემი რო კვდებოდა კიბოთი, მაშინ ვიყავი ეგრე. ვიცოდი, რო დღეები ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ვუვლიდი და ვეფერებოდი იმიტო, რო ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის და მიყვარდა.

სოფელში გასვლა უსაფრთხო არც დღისით არი და არც ღამით. მაგათ გაწერილი არ აქვთ, როდის დაიწყებენ თარეშს. თავიდან ნაღმებისა ეშინოდათ და ახლა რომ მიხვდნენ, რო არა ფეთქდებიან, თავის დილიხორზე დატრაშუნობენ წინ და უკან. დათვრება კაზაკი, გამოვა სოფელში და დაუშენს ტყვიებს ფანჯრებსა. მაგან კაცს რო მოკრას თვალი იმას რა დღეს დააწევს იცი?! კაზაკი და რუსი ერთი ბედენაა. ვინმემ არ დაგაჯეროთ, რუსი სხვა არი და კაზაკი სხვაო. თურმე ჩივიან, ხალხი არ დაგვხვდა, ვერ ვერთობითო. მაგათთვის ქართველების წვალება გართობაა თურმე. ოსებმა ის არ იციან, ბოლოს ეს მოწყენილი კაზაკები რო მიუტრიალდებიან და მაგათზე დაიწყებენ გართობას. ისე, თუ თარეშზეა ისიც უნდა ითქვას, რო ვეშზე ოსები უფრო მარადიორობენ. დივან-კრესლოები სულ მაგათ გაზიდეს. რუსებს უფრო სასმელ-საჭმელი და ტეხნიკა მოსწონთ. ისედაც სამი კომპიუტერი იყო სოფელში და სულ ნაწილ-ნაწილ ჩაილაგეს ჯიბეებში. ის ვერ გავიგე, პაპაჩემის გადიდებული სურათი რაღა შავ ქვად უნდოდათ.

* * *

დასუნსულებს ჯემალა მედოევი კაზაკებთან ერთად. წითლად უღაჟღაჟებს სახე ღვინისგან და სიხარულისგან. ადრე ვინ ოხერი, მაგას ქართულ სოფელში ეგრე არხეინად?! თავისიანებს აღარ კადრულობს. ოსები ცალკე არიან, ჯემალა კიდე სულ თავის პატრონებს დასდევს კუდში. ეგ აქაური არ არი, ჯაველია. ტოლები ვართ. ყმაწვილობისას, ცხინვალში გადავყრივარ სამი-ოთხჯერ. მაზალო შლაქსები ეცვა ხოლმე და დასცინოდნენ ბიჭები. მერე ორჯონიკიძეში წავიდა. მალევე მოაბრუნეს. იქ რაღაცა მიქარაო. არ ვიცი რა მიქარა და არც მიკვლევია, მაგის ოხერი დედაც ვატირე. ოთხმოცდაცხრა წელში, ეროვნული მოძრაობა რო მოადგა ცხინვალს მე ოცდახუთი წლისა ვიყავი, ეგ ოცდაექვსისა. მე შინდისფერ დროშას ვაფრიალებდი, ეგ კიდე „ადამონ ნიხასში“ იყო, ლუდვიგა ჩიბიროვთან. ეჯავრებოდა ქართველები იმთავიდან. არადა ბიჯო, ყველა ერთად არ ვიზრდებოდით?! სად იყო ჯერ ომი და გაწამაწია, მარა სხვა ოსებთან რო ჭიქას ვწევდით, ეგა და კიდე რამდენიმე უკვე ალმაცერად იყურებოდნენ. ხოდა მაშინ, ოთხმოცდაცხრა წელში, იქით ეროვნული მოძრაობის

ხალხი იდგა, შუაში რუსის ჯარი, აქეთ კიდე ოსები. უფრო აქეთ ჩვენ ვიყავით, სამაჩაბლოს ქართველობა და გაწევ-გამოწევა რო ატყდა, ერთი ასი ბიჭი შევიყარენით შინდისფერი დროშებით და წავედით ქართველების მისაშველებლად. მა რას მიქვია, ეროვნულ მოძრაობას რო არ უშვებდნენ ცხინვალში?! ხოდა მაშინ რო დავიძარით, ეს ჩვენი მოჯავრე ოსი ბიჭების კოდლა გადაგვიდგა წინ, არ გაგიშვებთო. ერთი კი ვუთხარი, ჩვენც მანდა ვართ, რო არსად მივდივართ და არც სამაჩაბლო წავა სადმე მეთქი, მარა ვერ მიხვდნენ. დებილები იყვნენ და იმიტო. სათავეში ეგ ჯემალა ედგათ, მედოევი. ავტომატები არ გვისვრია და არცა გვქონდა, მაგრამ კაი გვარიანად დავზილეთ ერთმანეთი. პირადად მე, აემ მუშტით გავუტეხე ცხვირი ჯემალას. იმის მერე ვახსოვარ და ვეჯავრები, მარა მე რა ძაან მეხატება გულზე?! აბა მე მკითხოს როგო მეჯავრება, მე მაგის... პირველი ომი რო ატყდა და ფორმირებები შეიქმნა, ჩვენც ბევრს მივქარავდით და ისინიც. მე იმას არ ვიძახი, ჩვენ ანგელოზები ვიყავით მეთქი. ღმერთი არ მაპატიებს ტყუილს და არც პროპაგანდისტული არხი არა ვარ, ის რო ვილაპარაკო მარტო ისინი ჭამდნენ დედიმისისას და ჩვენ არ ჩაგვიყვია კოვზები დედიჩვენისაში მეთქი, მარა ეგ სხვა ამბავია... ეხლა იმას გიყვებით, რო აი ეგ მედოევი ოსებში ყველაზე დიდი ჯამითა ჭამდა და ისე ჭამდა, რო თავისიანებიც იმას იძახდნენ, ვერ არი თავის მატორზეო. მაგას თავისი პატარა რაზმი ყავდა, არსენა კოცოევის სახელობის ბატალიონიო, ეგრე დაარქვა. მწერალი იყო ეგ კოცოევი და საზოგადო მოღვაწე. მაგათ სულ სამი ყავდათ ეგეთი, კოსტა ხეთაგუროვი, არსენა კოცოევი და ამერიკაში გადახვეწილი გაიტო გაზდანოვი... რატო ვიცი და იმიტო. ეგ იმათ ჰგონიათ, რო ჩვენი კულტურის ცოდნა არ შეიძლება. მე კიდე, ჩემდათავად ყველაფერი მინდა ვიცოდე მაგათზე და კარგი თუ რამე აქვთ, ეგეც მინდა ვიცოდე, ზიზღმა რო არ დამაბრმავოს მედოევივით. ისე დაიხსომეთ, ზიზღი და სიბრავე უმეცრებამ და გაუნათლებლობამ იცის. ისევ გავუტიე... მოკლედ, სადაც ეს მედოევის ბატალიონი გამოჩნდებოდა, ცოცხალ ქართველს ვეღარ ნახავდი. ავადმყოფები იყვნენ. აიღებდნენ პატარა დასახლებას და უპრაგონოდ, ყველას კლავდნენ ვინც იქ დახვდებოდათ. ქალი, ბებერი, ბავშვი... ყველას. იმას არ მოგიყვები, რანაირად. მე არ მიყვარს და არ შემიძლია მაგეების მოგონება. ვერ ვამბობ, ქართველი ესე და ესე აწამეს მეთქი. თან ბევრს ვიცნობდი იმ ხალხიდან, ვინც მაგ ვირიშვილმა გაამწარა. ხოდა ის ხო გითხარი, მე ვეჯავრებოდი მეთქი. აი მაგ ჩემი ჯავრით, სამჯერ მოადგა ჩვენ სოფელს ასაღებად, რო მე ვეპოვე და პაპაჩემ ზვიადა ტაბლიაშვილთან გავეშვი. მე კიდე, ისე არ მენატრებოდა პაპაჩემი, რო მაგისი გულისთვის ცოცხლები დამეყარა აქა. თან იმას თუ ყავდა ბატალიონი, ჩვენ რა, გვეძინა აქა?! რამდენჯერაც მოგვადგნენ იმდენჯერ გავყარეთ. თურმე იმუქრებოდა, მაინც გამოვუყვან წირვასაო. რო მიხვდა, სოფელში ცხვირს არ ვაყოფინებდით, მერე იმას გაიძახოდა, სადმე ხო გავა, იქ ამოვაცლი ჯიგარსაო. ჩვენ სოფელში ბოდიალზე ვეღარცა ფიქრობდა ეგა. ოცნებაში და გუნებაში კი ჰქონდა, მარა ეგ ისე, როგორც ჩრდილო კორეის ლიდერს სეული აქ ოცნებაში და გუნებაში. ხოდა ეხლა ვიყურები საფარიდან და სული მეწიწკნება ბიჯო, ეს ვირიშვილი მედოევი

სოფლის ცენტრში რო დააბოტებს კალაშნიკოვითა და ჩვენი ღვინით რო აქ ამოვსებული ფაშვი. არაყი მაინც ეცეცხლა. ღვინო წმინდაა.

* * *

რაზვეტკაზე სიარულიც გაბედეს. სუნთქვაც გაჭირდა უკვე. ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან, არც სოფელში შეგვესვლება თავისუფლად და ეხლა ჩვენი ბუჩქების ქექვაც დაიწყეს. ერთი კი ვიცი, სუ ფეხებზე მკიდია უკვე, ფეხის მომცვლელი აღარა ვარ არსაიდან. სტუმარი ხო არავარ კაცო?! ჩემ სახლში, ჩემ სოფელში მოვიდნენ, მე რათ უნდა წავიდე?!

ეხლა ვზივარ ორასი წლის მუხის ძირში. საამური შრიალი იცის ამ მუხამ. თითქოს გეუბნება, მე შენი წინაპრები მახსოვსო და მერე მაგ წინაპრებზე გიყვება. გაზაფხული რო დადგებოდა, მთელი სოფელი აქ ამოვდიოდით საღამოობით, კარგა ვქეიფობდით და ჩინებულსა ვსვამდით. ვიღაცეებმა ჩინური დაუძახეს მაგ ღვინოს და მგონი ცოტა ვერ არიან თავის მატორზე. ქართლის ძირძველი ღვინოა ეგა და ჩინებული ჰქვია. სექტემბრის ბოლომდე ეგრე ვქეიფობდით ხოლმე, სანამ აგვიცივდებოდა და ცის და მზის დილიხორს სუსხი გვიკლავდა. მე მაინც სხვანაირად მიყვარს ეს ადგილი. ხო იცით, ჯგუფურ მოგონებაზე ძვირფასი მაინც პირადი მოგონებაა ხოლმე და მე ის მაგონდება ამ ხეზე, მე და ჩემი მეუღლე, ვენერა, აქ რო ვხვდებოდით ხოლმე ჩუმად ღამ-ღამობით, სანამ სახლში წავიყვანდი. იცი რა ლამაზი იყო? თხელი, თხელი და წაბლისფერი. წკრიალა ხმითა და კრიალა ყავისფერი თვალებით. იგეთი არაფერი იფიქროთ, ვხვდებოდით და ვლაპარაკობდით, მაგრამ მაგ ლაპარაკზე ტკბილი არაფერი მიგემია მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე. ისე კი, დიდიხანი არც გაგვიჯანჯლებია. სკოლა დავამთავრეთ თუ არა, ბანკეტზე მოვკიდე ხელი და წამოვიყვანე სახლში. მამამისი, ბორისა ძია კი ტენიდა თოფსა, შუბლი უნდა გავუხვრიტო მაგ ვირიშვილსაო, მაგრამ მერე შევუყვარდი და ყველა ღვინობისთვეს ერთად გვიხაროდა მაჭრის დადუღება. ჩემი საწყალი ვენერა ძალიან გატანჯა ცხოვრებამ ოღონდ იმიტო არა, რო რამე გვიჭირდა. ყველა ადამიანისთვის ძნელია დღენიადაგ საფრთხის ქვეშ ცხოვრება და ქალისთვის მითუმეტეს. ქალი სხვისასაც დარდობს და იმაზე უფრო დარდობს სხვისას, ვიდრე თავისას, იმიტო, რო შვილი ყველაფერია ქალისთვის და ჩვენი შვილები კიდე, ომის შვილები არიან, ავტომატის ჟღარუნში გაზრდილები, ორჯერ მეტად რომ უნდოდათ უკან დევნაც და კრუხივით გადაფარებაც. მერე მე?! ოცი წელია ავტომატი არ გამიგდია ხელიდან და სისხლით ვიცავ სოფელს. ეს ჩემი ქალი, სულ იმის ფიქრსა და დარდშია, აბა ეხლა ახდიან თავის ქალას მანუჩარას, აბა ეხლაო... თან ჩვენ სხვანაირი სიყვარული გვაქ. არის ხოლმე სოფელში, გვიან, ვალდებულების გამო რომ წყვილდებიან ადამიანები. ჩვენ ხო ეგრე არ ვიყავით... მეხუთე კლასიდან გვიყვარს ერთმანეთი და ამ სიყვარულთან ერთად

გავიზარდეთ განუყრელები. ერთი სიკვდილი გავათავე, ორიათას წელს ერგნეთში რო გვესროლეს მე და ვენერას. იყო ეგეთი დროც, თავი რომ ერგნეთში სიარულით გაგვქონდა. მე და ვენერა მივდიოდით ჩემი ვოლგით, ტავარს ვიღებდით, პურს, ყავას, იმას, ამას და სოფელში პატარა ბუტკას ვამუშავებდით. აბა ვენერას მოხმარება რათ მინდოდა, მაგრამ არ მომეშვა, თავს იკლავდა ნერვიულობით თუ არ წავიყვანდი. მე მირატვორცების მოგონილი მშვიდობა არ ვიცი, იმათ მხარეს მარტო ვერ გაგიშვებო. ხოდა ერთი დღეც იყო, სახლისკენ გამობრუნებლებს მანქანაში ტყვიების სეტყვა რო დაგვაყარეს ოსებმა. პირველივე ოჩერედზე ჩაგვიმსხვრიეს წინა მინა და ღმერთის სასწაულმა გვიშველა, იქვე რო არ გაგვათავეს. ისღა მოვასწარი, ვენერას თავი ჩავაწევინე და ბოლომდე მივადგი გაზს. მანქანას ყველა მხრიდან ხვდებოდა ტყვიები და ვეღარც დადიოდა, მარა ვიცოდი, რო ვენერა იქიდან უნდა გამომეყვანა და დადიოდა თუ არა მანქანა, მაინც ვამოძრავებდი. მაგ ამბის მერე, შაქარი დაემართა ჩემ ცოლს, მე კიდე ერგნეთისკენ აღარც გამიხედია. განა იმიტო, რო ვინმემ ან რამემ შემაშინა. იმიტო, რო ვენერა აღარ გამომყოლოდა. დღემდე ვერ ვპატიობ თავს, ჩემი გაუფრთხილებლობით კინაღამ ჩემი გოგო რო გამომეცალა ხელიდან. მერე როგორც გავიგე, ეგეც მედოევის და მაგის ყაჩარების ნაჩათლახარი ამბავი იყო. თვითონ ოსებსვე მიუყვანიათ სიკვდილამდე. ქალი იჯდა იმ მანქანაში, ეგ რა იკადრეო. ახლაც ტირილით მიდიოდა ვენერა სოფლიდან. არაფრით უნდოდა ჩემი დატოვება. ძლივს ავუხსენი, რო მე თუ სოფელს ესე დავტოვებდი, მერე წამება იქნებოდა ჩემი სიცოცხლე... რას ამბობთ, ერთ ამბავში მაინც ვარ მშვიდად, ჩემები რო თბილისში არიან და ჯერ-ჯერობით არაფერი უჭირთ.

* * *

უკვე მეჯავრება დილის გათენება. ღამე შემიყვარდა. ადრე, კარგად როცა ვიყავით, ერთი სული მქონდა მზეს ცხვირი ამოეყო, რო მე დამესწრო, ფეხზე დავხვედროდი და მომეკითხა. აბა ბედნიერ კაცს ძილი როგორ უნდა ახარებდეს? სულ იმის ფიქრში უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი ხნით მოასწროს ფხიზლად ყოფნა დაბედნიერების წამების დაგროვება. ეხლა კიდე, ერთი სული მაქ დავიძინო. ღამე ძილისპირული მაშტერებს თუ რაარი არ ვიცი, მაგრამ იმედი მიჩნდება. იცი როგორ რაღაცეებს ვიჯერებ? აი ხვალე ჩვენები შემოვლენ, რაღაცა მანქანებით რუსებს ვაჯობებთ, გავყრით. მჯერა, რომ სინამდვილეში არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც ერთი შეხედვითა ჩანს... მოკლედ... მერე თენდება და მთელი, ჯანმრთელი ტვინით ვიაზრებ, რო ტრაკისკენ არი საქმე. დღეს, რიჟრაჟზე შუბითიძე დავითა მოვიდა. ცუდი ამბავი მოიტანა. ან კარგს რანაირად მოიტანდა?! მარა ცუდიც არი და ცუდიც... რუსებს და მედოევს რომელაშვილი ზაურა უწამებიათ. ის ღორის გაგდებული აწვებოდა თურმე, თქვენი სოფლის რწმუნებული როა, მანუჩარა ტაბლიაშვილი, გვითხარი სად არი შემძვრალი თორე გაგათავებთო. ვერ

ამოიყარა ჩემი ჯავრი. ზუსტად ვიცოდი, იმიტო დაეთრეოდა აქა, ჩემი გაგორება რო უნდა. ზაურას უთქვია, ოჯახთან ერთად გავიდა თბილისში, სად უნდა იმალებოდესო. არ დაუჯერებია იმ წამპალს, ეგ ისეთი ჯიუტია, აქედან წამსვლელი არ იყოო და თურმე ფრჩხილების დაძრობა დაუწყეს კაცსა. ზაურა ძალიან კი შეშინებულა და ძალიანაც იტანჯებოდა, მაგრამ ჩემი ჩაშვება მაინც ვერ გაუვლია გულში და დაბნეულს ის უთქვია, ტაბლიაშვილი თქვენმა არტილერიამ მოკლა და ჩვენ სამხედროებთან ერთად არი დამარხულიო. ამაზე სულ გაგიჟებულან, რა თქვენი სამხედროები, ჩვენს მიწაზე ქართველი აგრესორების საფლავს რა უნდაო და მერე იმიტო აწამებდნენ, გვითხარი სად არი ეგ საფლავებიო. სიკვდილის პირას მიიყვანეს ამ ხნის კაცი და ამანაც ვერ გაუძლო წამებას და უთხრათ, რომელიღაცა სახლის პადვალშიო. ის ვერ ათქმევინეს, რომელი სახლის. ჯორზე შემჯდარა, ეგ მართლა არ ვიციო. ინფორმაცია ბოლომდე რო ვერ წაგლიჯეს, აიღეს და დახვრიტეს ზაურა მაგ სულძაღლებმა. იქვე, თავისი სახლის წინ დაუგდიათ და ეხლაც იქა გდიაო, დავითამ. ისიც მითხრა, რუსები ხვალიდან ნელ-ნელა დაუყვებიან და ყველა სახლის პადვალს გათხრიანო. რა უნდა ვქნა?! ვერც იმ კაცს შევაჭმევინებ ღორებს და ვერც ჩვენ ბიჭებს. უნდა დავასწრო რუსებს. შუბითიძე შევიპირე და რო დაბნელდება ამომივლის. მანამდე ტყეში ავალ და დიდ საფლავს გავთხრი. ბიჭები ტყეში უნდა გადავასვენოთ და ზაურაც იქ დავასაფლავოთ.

* * *

შუაღამეა. გასვლის დროა. იმედიანი დაძინების შუაღამე აღარ არი. ძილის დრო არა მაქ და იმიტო. კუნთები მეგლიჯება ტკივილისგან. მთელი დღე ტყეში ვიყავი, დიდ ორმოს ვთხრიდი ჩვენებისთვის. ~ ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ ეხლა მაგის დრო არ არი. ბიჭები სათითაოდ უნდა ამოვასვენოთ და ტყეში გადმოვიყვანოთ დასამარხად. არავის წავაბილწინებ მაგათ თავს. ქამარში ბერეტა მიდევს. ზვიადისტმა გენერალმა, აჩიკო ესვანჯიამ მაჩუქა პირველი ომის დროს. ხელში ლაფატკა მიჭირავს და ჩემი სახლის სარდაფისკენ მივდივარ. უკან მომყვება დავითა შუბითიძე. კი ეშინია, მარა ხათრს ვერ მიტეხავს. არ ვამტყუნებ. რკინა უნდა იყო, ეხლა რო არ გეშინოდეს. მეც მეშინია, მარა მისდრემჩი არ შემიმჩნევია შიში და არც ეხლა შევიმჩნევ. თან მე რო შევიმჩნიო, ეს სულ გადამერევა. ეჰ, აქამდე როგო მიყვარდა აგვისტოს მთვარე, ეხლა კიდე მეჯავრება. ისეთი განათებულია სოფელი, გეგონება კინოს იღებენო. გაღმა, ტყეში, ტურები კივიან. ცოტა ვიბნევი, ძნელია ტურების და ოსების ხმების გარჩევა. ეგ ხუმრობით, ისე კი, ჩვენთვის არა სცალიათ მოთრეულებს. გამტყვრალან თავის ბლოკპოსტებზე და დოლს ახათქუნებენ. სოფელი ისე გავიარეთ, კაციშვილი არ გადაგვყრია. აფსუს, რა სოფელი ჩააქრეს, ამ ჯიშიბნელებმა?! ჩემ ეზოში შევედით. ფუ შენი კარგის ტრაკი მოვტ... სტოიო ვიღაცა ყვირის...

ნინო ტაბლიაშვილი:

მამა თოთხმეტ აგვისტოს დახვრიტეს. ჩვენს თანასოფლელ, დათო შუბითიძესთან ერთად. რუსების დანახვაზე შეშინებულა შუბითიძე და გაქცეულს დააწიეს ავტომატის ჯერი. ჩვენი ჯარისკაცების და მეზობელი კაცის დამარხვა უნდოდათ და ამ დროს შეეჩეხნენ. უფრო სწორად, მგონი ჩასაფრება მოუწყვეს. ამ ომის დაწყებიდან კიარა, პირველი ომიდან მოყოლებული ფეხი არ მოუცვლია მამას სოფლიდან. არ შეეძლო ამ მიწის ესე უბრალოდ ჩაბარება. მამა თვითონ იყო ქართლი და სოფელი ერედვი. ამ ყველაფრის გარეშე აღარაფერი იქნებოდა. ომის დაწყებისას მე, დედა და ჩემი ძმა რომ გავდიოდით სოფლიდან, სასოწარკვეთილი და გაბრაზებული დედა იმასაც კი იძახდა, მაგას ერედვი ჩვენზე ძალიან უყვარსო. რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობდა, მაგრამ იმდენად ეძნელებოდა ცეცხლში გახვეულ ერედვში საყვარელი ადამიანის დატოვება, რომ თავზე კონტროლი დაკარგა. მამა რუსებმა და ოსებმა ერთად აიყვანეს. რომ გაიგეს, სოფლის რწმუნებულიაო, განსაკუთრებული სისასტიკით დაუწყეს ცემა. ერთ ოსს, გვარად მედოევს, ჩვენი სოფლის ორასწლოვან მუხის ხეზე ჩამოუკიდებია თავდაყირა და ასე, ისედაც გაწამებულს, კომბლით სცემდა თურმე. დილამდე იყო მამა ასე, ნაცემი, დასისხლიანებული და ძვლებდამტვრეული იმ ხეზე. ამ დროს რუსებს და ოსებს ხის ძირში ცეცხლი ჰქონდათ დანთებული, ქეიფობდნენ სვამდნენ და დასცინოდნენ გატანჯულ კაცს. თურმე იმაზეც ბჭობდნენ, ცეცხლში ხომ არ ჩავაგდოთო, მაგრამ ერთს უთქვამს, საჭმელს ვჭამთ, გული აგვერევაო. ბოლოს მთვრალი მედოევი წამომდგარა, ოსურად რაღაც უთქვამს და მამასთვის თავში უსვრია ტყვია. როგორც ვიცი, არ დაუმარხავთ. წარმოდგენა არ გვაქვს სად არის ცხედარი. მაშინ სკოლაში დავდიოდი. ბევრ რამეს ვერ ვხვდებოდი. უბრალოდ ვბრაზობდი და ყველა მეზიზღებოდა, ვინც მამა მომიკლა. ახლა კი, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, პირველ რიგში ის მომდის თავში, რომ მამამ გმირობის შეცნობა მასწავლა. ალბათ ეს არის გმირობა. მამაჩემი. უპირობო სიყვარული, უპირობო სინდისი, უპირობო ერთგულება...